სპორტული გაზეთი

8 მარტი, პარასკევი, 1991 წ.
№ 42 (104 55) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ტელეფონოგრამა კიევიდან

საქართველოს ოკ-ის აღმასკომს

უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ვალერი ბორზოვის დავალებით, რომელიც ამჟამად უცხოეთშია, გაცნობებთ, რომ უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს პოზიციას, რომელიც მან დაიკავა საკავშირო ოლიმპიურ კომიტეტთან ურთიერთობაში. არც ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას სსრ კავშირის ოკ-ის პლენუმის მუშაობაში, რომელიც 14 მარტსაა დაგეგმილი, რადგან ამით ცენტრს სურს დააკანონოს ოკ-ში რესპუბლიკების წევრობა. ვაპირებთ ზედამხედველის სტატუსით თანამშრომლის მივლინებას პლენუმზე, ამ საკითხში შევთანხმდით ბალტიისპირელებთან. თუ თქვენი წარმომადგენელიც ჩავა პლენუმზე შეიძლება გამოვიდეთ ერთობლივი განცხადებით. ამასთან, ვიზიარებთ თქვენ წინადადებას — შევიკრებოთ თბილისში, თუ გნებავთ კიევში, ბალტიისპირელებთან და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად და ერთობლივად გადავწყვიტოთ საკუთარი ბედი.

სეოკ-ის აღმასკომმა განიხილა უკრაინელთა ტელეფონოგრამა და გადაწყვიტა მეთვალყურის სტატუსით პლენუმზე მიავლინოს სეოკ-ის აღმასკომის წევრი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა.

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციას

საქართველოს ნარდის ფედერაციას

გაზეთ „ლელოს“ რედაქციას

გავიხარეთ, როცა შევიტყვეთ, რომ შეიქმნა საქართველოს ნარდის ფედერაცია და ნარდის მოყვარულებს, ასეთები კი, მერწმუნეთ ხანგაზმულ ადამიანს, საქართველოს თითქმის ყველა ოჯახში არიან, შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ მონაწილეობა ოფიციალურ შეჯიბრებებში. რაკი ასეა, რაკი ის ადამიანები, ვინც ნარდის თამაშითაა გატაცებული საქართველოში ბევრია, შეჯიბრებებში მონაწილეობაც ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მაქვს კონკრეტული წინადადება — ჩატარდეს საქართველოს ჩემპიონატი ნარდში ხანდაზმული, ყოველ შემთხვევაში, 60 წელს გადაცილებული ქალებისთვის. ვფიქრობ, მსურველები შეიკრიბებიან, რადგან ნარდის თამაშის ძველი ტრადიცია ამ ადამიანებში ჯერ კიდევ ტკბილ მოგონებად ცოცხლობს. ძალიან გაგვახარებთ თუ ჩემს წინადადებას გაითვალისწინებთ.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს თხოვნა. მსურველები ნამდვილად გამოჩნდებიან.

ნინა ზუსგაია-კუპრეიშვილი
თბილისი.

ჯილდოს ჯილდო ემუქრება

ნინო სალუქვაძე ევროპის ჩემპიონია

ევროპის ჩემპიონატზე პნევმატური იარაღით ხროლაში, რომელიც ამას წინათ მანჩესტერში დამთავრდა, ნინო სალუქვაძემ ოქროს მედალი მოიპოვა გუნდურ ჩათვლაში (პნევმატური პისტოლეტით) და თავის კოლექციას კიდევ ერთი ძვირფასი ჯილდო შეხძინა. საკავშირო ნაკრებში ნინოსთან ერთად გამოდიოდნენ სვეტლანა ხმირნოვა და მარინა ლაგვინენკო.

მანამდე კი ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, როგორც ვიუწყებოდით, ბრინჯაოს მედალი დაიმახსოვრა ამავე იარაღით პირად პირველობაში. ძირითადი სერიის დამთავრებას შემდეგ პირველი სამეული გამოიყურებოდა ასე: იანნა სეკარიჩი (იუგოსლავია) — 386 ქულა, სვეტლანა ხმირნოვა — 384 ქულა და ნინო სალუქვაძე — 383 ქულა. ფინალურ სერიას ეს თანაფარდობა არ დაურღვევია, ოღონდ ეს იყო, რომ ნინომ შეამცირა ხსვაობა ხმირნოვასთან 0,8 ქულამდე.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

12 მარტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სათათბირო ოთახში ჩატარდება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის სხდომა, რომელიც განიხილავს ფედერაციის რეორგანიზაციის საკითხს. დასაწყისი 18 საათზე.

ფედერაციის პრეზიდიუმი.

CITIUS, ALTIUS, FORTIUS

ოლიმპიური ბოიჯბე

„ეჯერ-ლ“
1991 წ.
№ 1

ახალი სპორტული გაზეთი

კიდევ ერთი სპორტული გაზეთი, კიდევ ერთი სიხარული.

„ოლიმპიური მოამბე“— ეს გაზეთი, რომელიც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ორგანოა, სულ ახლახან მიიღო მკითხველმა. ჯერ-ჯერობით იგი მხოლოდ აჭარაში ვრცელდება.

ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური და აქტიური ორგანიზაციაა, რომელიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. საკუთარი გაზეთის გამოცემაც ამის დასტურია. ახალი გაზეთის პირველი ნომერი ბევრ საინტერესო საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. მთავარი თემა, ცხადია, ოლიმპიური მოძრაობის იდეების პროპაგანდაა, ამავე დროს იგი აჭარის სპორტული ცხოვრების თავისებურ მემატიანედ გვევლინება. გაზეთი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ იგი პირველი ფერადი სპორტული გაზეთია საქართველოში (რედაქტორია „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში მუხრან კობალაძე). ახალი გაზეთის დაფუძნებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს ჯემალ ჭიღვარიას.

გაზეთის პირველი ნომერი 5 ათასი ტირაჟით გამოვიდა და უმალ გაიყიდა.

გადასახადისაგან გაათავისუფლეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ხმათა დიდი უმრავლესობით განვლილ სესიაზე მიიღეს ცვლილება მიწის ძირითად კანონმდებლობათა თაობაზე. ამ დადგენილებით ყველა სპორტული ნაგებობა თავისუფლდება მიწათსარგებლობის ბეგარისაგან. (საკდესი)

ეს-ესაა შევიტყვეთ...

ნბა-ს ლიგის კალათბურთელთა ჩემპიონატზე მორიგი ტურის ხუთი მატჩი გაიმართა. ყურადღებას იპყრობს ლიგის ახლანდელი ჩემპიონის „დეტროიტ პისტონსის“ უაღრესად სუსტი თამაში. მიმომხილველები ამას იმით ხსნიან, რომ გუნდის ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წევრი ტრავმირებულია, ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ „დეტროიტმა“ ზედიზედ ხუთი შეხვედრა წააგო. ბოლოსწინა ტურში მან მართალია აჯობა „ლოს-ანჯელეს კლიპერსს“, მაგრამ გუშინწინ კვლავ დამარცხდა, ამჯერად უკვე ნიუ-იორკთან — 99:102.

ამ დღეს სხვა ფავორიტებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს. ატლანტის დივიზიონის ლიდერმა „ბოსტონმა“ დაამარცხა „მაიამი“ ანგარიშით 126:117. მორიგი მატჩი მოიგო შუა-დასავლეთ დივიზიონის ლიდერმა „იუტა ჯაზმაც“. მან აჯობა „ვაშინგტონს“ 104:93.

სხვა ორი მატჩის შედეგი ასეთია: „ორლანდო“ — „ლოს-ანჯელეს კლიპერსი“ 89:86, „ფილადელფია“ — „დალასი“ 97:92.

გათამაშების ცხრილები

აღმოსავლეთის კონფერენცია
ატლანტის დივიზიონი

„ბოსტონი“	44	16	733
„ფილადელფია“	33	26	559
„ნიუ-იორკი“	28	32	467
„ვაშინგტონი“	22	37	373
„მაიამი“	19	40	322
„ნიუ-ჯერსი“	19	40	322

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო“	42	15	737
„დეტროიტი“	38	23	623
„მილუოკი“	36	24	600
„ატლანტა“	34	25	576
„ინდიანა“	28	31	475
„კლივლენდი“	21	37	362
„შარლოტა“	17	42	288

დასავლეთის კონფერენცია
შუა-დასავლეთის დივიზიონი

„იუტა“	40	18	690
„სან ანტონიო“	37	19	661
„ჰიუსტონი“	34	24	586
„დალასი“	22	36	379
„ორლანდო“	20	39	339
„მინესოტა“	19	38	333
„დენვერი“	16	41	281

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„პორტლენდი“	45	14	763
„ლ-ა ლეიკერსი“	42	17	712
„ფენიქსი“	39	19	672
„გოლდენ სტეიტი“	30	28	517
„სიეტლი“	29	29	500
„ლ-ა კლიპერსი“	20	39	339
„საკრამენტო“	16	41	281

გო და ჩვენი ერთი გოგო

ძნელი მისახვედრი არ არის, საიდან მოდიან გოს მოთამაშეები, რა თქმა უნდა, უმთავრესად შაშიდან. კასპის II საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა თამრიკო ჯაბაურმაც ეს „გზა გამოიარა“: ჯერ შაშში მეცადინეობდა ვლადიმერ კანდელაკის ხელმძღვანელობით, მერე კი ოსტატმა და შეგირდმა გადაწყვიტეს, გოშიც, ამ ე. წ. იაპონურ შაშშიც ეცადათ ბედი. გაუმართლათ — დღესდღეობით თამრიკოს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს ჩვენს გოგოებში — 950. ამიტომაცაა, რომ სწორედ მას მიეცა უფლება, ეასპარეზა ამ სახეობის მიმდევართა საკავშირო პირველობაზე, რომელიც იალტაში დაიწყება 11 მარტს.

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში ● ქალები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „სპარტაკი“ (პენზა) 72:64 (35:33).

თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 6 მარტი.

ტექნიკური უნივერსიტეტი: ლორია (14), ყიფშიძე, ხარაძე (12), მხეიძე (14), ბუიღლიშვილი (13), ომიაძე (6), კურტანიძე (12), ვ. მაისურაძე (1), ლ. მაისურაძე.

„სპარტაკი“: ბუტენკო (5), შაბანოვა (4), ხუხოვა (8), ვიბორნოვა (2), ვეხიოლკინა, ნადიოჟკინა, პავლოვა (17), კონოვალოვა (11), ლიხინა (17).

მსაჯები: ფ. მაიოროვი (მოსკოვი) და ვ. ზაქოიანი (ერევანი).

პენზელები ბოლო წლებია, ვეღარ აგრძელებენ უწინდელ მიღწევებს ქალთა კალათბურთში. გუნდი ახალგაზრდულია და შარშანდელ სეზონთან შედარებით მასში მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება.

შეხვედრა უნდა გამართულიყო გეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის დარბაზში, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გადაიტანეს.

მატჩის პირველივე წუთებიდან ქართველი კალათბურთელები დაწინაურდნენ და მეათე წუთამდე მიჰყავდათ ანგარიში შვიდი ქულის უპირატესობით. სტუმრებმა დროის მცირე მონაკვეთში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და დაწინაურებაც. ტაიმის ბოლო წუთებამდე თბილისელთა გუნდი მდევრის როლში აღმოჩნდა, მაგრამ ბოლოს მოახერხა ანგარიშის არა მარტო გათანაბრება, არამედ პირველი ნახევრის მოგებაც 35:33. შესვენების შემდეგ მასპინძლები გაცილებით დამჯერებლად თამაშობდნენ, ანგარიშის სხვაობა ნელ-ნელა იზრდებოდა და საბოლოოდ მათ აღარ გასჭირვებიათ გამარჯვება — 72:64.

მომდევნო მატჩებს ჩვენი კალათბურთელი გოგოები სტუმრად ჩაატარებენ — 12 მარტს სიმფეროპოლში „უნივერსიტეტთან“ და 15 მარტს დნეპროპეტროვსკში „სტალთან“.

ბია ბურდული

• • •

ა. კოტორაშვილის ფოტო.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

6 **მარტს** გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები ფეხბურთში.

ჩემპიონთა თასი

ევროპული ფეხბურთის გრანდებმა „მილანმა“ და „ბაიერნმა“ მეოთხედფინალის პირველი მატჩები ერთნაირი ანგარიშით ფრედ (1:1) დაამთავრეს. ტურნირის შემდგომ ეტაპზე გასასვლელად შეხვედრები მეტოქის მოედანზე მათ თავის სასარგებლოდ უნდა დაამთავრონ.

ჩემპიონთა თასის მფლობელი „მილანი“ „სან-სიროს“ სტადიონზე შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა: გუნდს აკლდა კაპიტანი ფრანკო ბარეზი და თავდამსხმელი მარკო ვან ბასტენი. ალბათ, ამით აიხსნება, რომ მთელი თამაშის მანძილზე მასპინძლებმა სერიოზული საფრთხე ვერ შექმნეს მარსელის „ოლიმპიკის“ კართან. უფრო მეტიც, გამარჯვება შეეძლოთ ფრანგებს, მაგრამ მათმა აფრიკელმა ფორვარდმა, გვარად პელემ, ბურთი ძელს მოახვედრა. ანგარიში მე-14 წუთზე გაიხსნა. „ოლიმპიის“ მცველთა უხეში შეცდომის შემდეგ რუუდ გულიტი მარტო დარჩა მეკარის კარის წინ და თავისი შანსი არ გაუშვა ხელიდან. ცამეტი წუთის შემდეგ ფრანგების საუკეთესო ბომბარდირმა ჟან პიერ პაპენმა კრის უოდლის ზუსტი გადაცემა მიიღო და ანგარიში გათანაბრა.

მიუნხენში მოთამაშე „ბაიერნი“ სხვა სახის პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მე-16 წუთზე „პორტოს“ ფორვარდის ემილ კოსტადინოვის წინააღმდეგ უხეში თამაშისათვის მოედნიდან გააძევეს კლაუს აუგენთალერი და დარჩენილი დრო გერმანელებმა 10 კაცის შემადგენლობით ჩაატარეს. მიუხედავად ამისა, პირ-

იხ. მე-3 გვ.



ჩვენი ისტორია

ქუთაისის სპორტული წარსულიდან

(წერილი პირველი)

საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის სწორი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა იმერეთის სამეფო კარის ყოველდღიური ზრუნვისა და განსჯის საგანი იყო. ამ მხრივ გამონაკლისს არც მისი უკანასკნელი გვირგვინოსანი წარმოადგენდა. მეუხედავად ხანმოკლე, ტრაგიკული, მაგრამ ბოგოქარი სისხლსავსე ცხოვრებისა, სოლომონ II-ს ბოლომდე არ ჩაუგია ხმალი ქარქაშში და, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, სპორტსაც არ ივიწყებდა.

რაც მთავარია, მეფე **სოლომონ მეორე თვითონ იყო** სპორტის ცალკეული სახეობების, კერძოდ — **ნადირობის, ჭადრაკის, ტყვიის სროლის და ბურთაობის დიდი ტრფიალი.** ისტორიულ წყაროებს მის შესახებაც შემოუნახავს ცნობები, რომ **ცხენბურთის სათამაშოდ მეფეს სპეციალური ბედაურიც კი ჰყოლია, რომელსაც მეჯინიბეთუხუცესი საგანგებოდ წვრთნიდა.**

ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი პ. გნილოსაროვი წერდა: „ცუდ ამინდში სოლომონ მეფე წიგნს კითხულობდა, კარის მსახურებთან საუბრობდა, ან **ჭადრაკს თამაშობდა**". საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, ჭადრაკის პოპულარობაზე იტალიელი მისიონერი არქანჯელო დამმერტიც მიუთითებდა. როგორც საერთაშორისო არბიტრი თ. ფიორგაძე აღნიშნავდა, გვიანდელი, ფეოდალური ხანის **საქართველოში ჭადრაკის სპეციალური სათამაშო ხანლიც კი არსებობდა, რომელსაც სამორინეს უწოდებდნენ.**

იმავე პ. გნილოსაროვის ცნობით, კარგ ამინდში მეფე სოლომონ მეორე, როცა სამეფო საქმეებისაგან მოიცლიდა, ეზოში ჭადრის ქვეშ დიდი ლოდისაგან გამზადებულ ტახტზე დაჯდებოდა და **უცქერდა ახალგაზრდობის სპორტულ პაექრობას — ჯირითს, ხელშუბის ტყორცნას, ყაბახსა და თოფით ნიშანში სროლას.**

როგორც ჩანს, იმერეთის სამეფო კარზე ტრადიციად იყო ქცეული ახალგაზრდობის წვრთნა სპორტის ცალკეულ სახეობებში. რა თქმა უნდა, ამ საქმეს თავისი სპეციალისტებიც ეყოლებოდა და ყველაფერი ეს **ჯარის სარდლის მეთვალყურეობის ქვეშ ხდებოდა.**

საუკუნეების მანძილზე **ქუთაისსა და მის შემოგარენში რამდენიმე სასასპარეზო სარბიელი არსებობდა.** ერთ-ერთი ასეთი კეთილმოწყობილი და სპეციალური გალავნით შემოკავებული საასპარეზო მოედანი „ოქროს ჩარდახის" გვერდით მდებარეობდა. იგი მოიცავდა დღევანდელ ბულვარს, ოპერისა და დრამატული თეატრების, აგრეთვე, ალმასკომის ტერიტორიებს მდინარე რიონის სანაპირომდე, სადაც **იმართებოდა სამხედრო ვარჯიშობანი, სპორტული თამაშობანი თუ თეატრალიზებული დადგმები.** ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ამას ზეით არის ქალაქი ქუთაისი რიონის გაღმა — გამოღმა, ჰავითა და წყლით მშუენიერი, თვალთა ქვეშ მშუენიერი ადგილი, რომელიც აღაშენა აფხაზთა მეფემან ლევან და ჰყო ტახტი. არს ციხე ციხედამ ხიდი რიონსა ზედა, აქ არის სასახლე მეფეთაგან, დიდ-მენი შუენიერად, **რიონსაზედა წაკოდებული ასპარეზი მოზღუდვილი ვარჯათ ჭანდრით".**

მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ზემოთ ხსენებულ ადგილებში ბულვარი გაშენდა, მოსახლეობაც კომპაქტურად დასახლდა და სახელმწიფო დანიშნულების შენობაც აიგო. საასპარეზო — სათამაშო მოედანს შეუცვალეს ადგილსამყოფელი და, როგორც ქუთაისის სპორტის მკვლევარი ვ. აფრიდონიძე განსაზღვრავს, გადაიტანეს ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „დინამოს" სტადიონის ტერიტორიაზე. რადგან ახალ, კეთილმოწყობილ სარბიელზე ძირითადად ბურთაობა იმართებოდა, მას **სახელად საბურთალო ეწოდა.**

საუკუნეების მანძილზე საქართველოს მეფეთა რეზიდენციის, გეგუთის მახლობლად უნდა ყოფილიყო **სათამაშო მინდორი,** რადგან ცნობილი საღორიის, აჯამეთისა და გეგუთის სამეფო ტყეებში იმერეთის სამეფო კარი ხშირად აწყობდა ნადირობას. ამას თან მოჰყვებოდა ნადიმობა, ხოლო შემდეგ დამკვიდრებული წესისამებრ **იმართებოდა შეჯიბრებები ცხენოსნობაში, ცხენბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში.** დღესაც, ახლანდელი რიონჰესის სამხრეთ-დასავლეთით, **გეგუთთან ახლოს, ერთ-ერთ ადგილს სარბევი ეწოდება.** როგორც ვ. აფრიდონიძე აღნიშნავს, სიტყვა სარბევი სარბიელიდან არის ნაწარმოები. მკვლევარი სულხან-საბას ლექსიკონსაც იშველიებს, სადაც სიტყვა სარბიელი ასე განიმარტება: „სარბიელი — სარბენი ადგილია".

ქუთაისში ასეთივე საასპარეზო ადგილი ქალაქის დასავლეთით მდებარეობდა, მდინარე ოლიასკერას მიდამოებში, რომელიც მოიცავდა ე. წ. „ბაინდურების ბაღის" და „ლაგრის" ძველ ტერიტორიებს (დღევანდელი სასწრაფო დახმარების, ბავშვთა საავადმყოფოს და სამშობიარო სახლის ტერიტორია). აღნიშნულ მიდამოებში გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საინტერესო სპორტული ღონისძიებები იმართებოდა, როგორც ბურთაობაში, ასევე ცხენოსნობის მრავალფეროვან სახეობებში. რაც მთავარია, ასეთ მასობრივ და **ხალხში ფართოდ დამკვიდრებულ სპორტულ ღონიხძიებებს ყოველთვის დიდძალი ხალხი ეხვრებოდა.**

იმერეთის სამეფო კარს მრავალი სანადირო ადგილი ჰქონდა. ცნობილია, რომ გეგუთის, საღორიის, მაღლაკის, ოკრიბის, ბაღდათის და საჩინოს ტყეები მდიდარი იყო ფრინველ-ნადირით. სოლომონ პირველის ელჩის მაქსიმე ქუთათელის მიერ 1769 წლის 14 მარტს პეტერბურგში წარდგენილ იმერეთის სამეფოს აღწერილობაში საინტერესო ცნობებია მოცემული იმერეთის ტყეებში უხვად ბინადარ გარეულ ფრინველ-ნადირთა შესახებ.

სამონადირეო საქმესთან ერთად იმერეთის სამეფო კარზე პრესტიჟულად ითვლებოდა მეთევზეობაც. რიონს გარდა თევზით მდიდარი იყო ყვირილა. ვახუშტის სიტყვებით: „ყვირილას შინა იპყრობის თევზნი ყოველნი თვინიერ ზუთხისა, ხოლო საჩხერის ზევით არს კალმახთა სიმრავლე". თევზით მდიდარი იყო ქუთაისზე გამავალი მდინარეებიც — წყალწითელა და ოლასკერა.

საქართველოს არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქვეყნის მეფე-მთავრებს ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი სიყვარული და ინტერესი ნადირობისადმი. რა თქმა უნდა, ამ მხრივ, გამონაკლისს არც იმერეთის სამეფო კარი წარმოადგენდა. იმერეთის უკანასკნელი გვირგვინოსანი ნადირობის დიდი ტრფიალი ყოფილა. ამასთან დაკავშირებით 1860 წელს ჟურნალი „ცისკარი" წერდა: „ნადირობა მეფისათვის იყო უპირველესი შესაქცევარი. ზაფხულზე ცხოვრობდა ქუთაისში და ნადირობდა დილაზე ადრე, საგორისში და რიონის მინდვრებში, სადაც მრავალი იყო კურდღელი და ხოხობი".

ზამთარს მეფე ხშირად ვარციხეში ატარებდა, სადაც რამდენიმე დღე ნადირობდა აჯამეთის და ვარციხის ტყეებში. აქ მრავალად იყო დათვი, მგელი, მელა, კურდღელი, გარეული ღორი, ირემი და გარეული თხა.

სოლომონ მეორეს განსაკუთრებით თავის მიზანში სროლა მოსწონდა. ხშირად სამეფო კართან არსებულ საასპარეზო მოედანზე **იმართებოდა შეჯიბრი ტყვიით მიზანში სროლაში. ვინც ზუსტი ჩუბინი იქნებოდა, მას მეფე იარაღით და ტანსაცმლით ასაჩუქრებდა.** ერთხელ სოლომონ მეორეს თვალი მოუკრავს თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული უცხო კაცისათვის. მეფე დაინტერესებულა მისი ვინაობით. მიჰგვარეს. [illegible] ეტყვა. ეტუმარმა მუხლი მოიყარა გვიგვინოსნის წინაშე და მდიდრული ეტიკეტი [illegible] ის [illegible] ...

ქვეყნის თავკაცის გაკვირვება ვაჭრის მოკაზმულობას გამოუწვევია და თვალი შაშხანისათვის დაუდგამს. მეფეს უკითხავს, თუ რად უნდოდა მას იარაღი.

ახალციხელი ვაჭრის პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო — ეს შაშხანა ყველა სავაჭროზე ძვირფასია ჩემთვის. მე ისე ვერ ვხმარობ ადლს, როგორც შაშხანასო. გაკვირვებულ მეფეს უთქვამს — თუ მოარტყამ ნიშანში, საჩუქარს მოგცემ და, თუ აიცდენ, ტრაბახა ყოფილხარ და აქეთ აღარ დაგინახოო.

სტუმარს პირი არ შეურცხვენია და ნიშანში მოურტყამს. აღფრთოვანებულმა მეფემ ახალციხელ ვაჭარს — მამაჯან თითოკოვს აზნაურობა უბოძა. იგი უკანასკნელი პირი იყო, რომელსაც იმერეთის მეფემ მაღალი წოდება მისცა.

მართალია, ძველ იმერეთში საუკუნეების მანძილზე ფიზიკური აღზრდა მაღალი წრისათვის სათანადო დონეზე იდგა, მაგრამ ამ მხრივ მდაბიო ხალხის სწორი ფიზიკური და სულიერი აღზრდის თავისებურებანიც არ უნდა დავივიწყოთ. რა თქმა უნდა, სოფლად გლეხობას და ქალაქად — ხელოსნებს და ვაჭრებს თავისი ხელმისაწვდომი გართობა-თამაშობების მრავალფეროვანი „პროგრამა" ჰქონდათ, რომელიც თაობიდან თაობას ზადაეცემოდა. იმის გამო, რომ გლეხობის უმრავლესობისათვის, ისე როგორც ქალაქის მოსახლეობის ქვედა ფენისათვის, ცხენი ფუფუნებისა და ოცნების საგანს წარმოადგენდა, მათში გავრცელებული და პოპულარული იყო სპორტის ისეთი სახეობები, რომლებიც ცალკე პირის, ინდივიდის ფიზიკურ ძალაზე, სმარდეზე და სისწრაფეზე იყო დამოკიდებული: **ლელობურთი, ჭიდაობა, ლახტი და სხვა ხალხური თამაშობები.**

მე-19 საუკუნეში ლელობურთი დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. იმერეთში, გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში სისტემატურად იმართებოდა შეჯიბრება ლელობურთში. უბანი — უბანს, სოფელი — სოფელს, იმერლები— გურულებს, აჭარლები — მეგრელებს ეჯიბრებოდნენ, რაც უყურადღებოდ არ რჩებოდათ მაშინდელ გულშემატკივრებს. საუკუნეების მანძილზე იმერეთის სამეფო კარზე ფეხმოკიდებულ და ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულ ხალხურ სპორტულ თამაშობებს არც გასული საუკუნის პირველ ნახევარში დაუკარგავს თავისი ეშხი და ლაზათი.

მიუხედავად ქართული სპორტული საქმიანობისადმი ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის უსულგულო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა, ქართულ ეროვნულ ხალხურ სპორტულ თამაშობებს სათუთად უვლიდა ქართველი ხალხი.

ზურაბ ჯავახაძე





თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკა კარხა ხანია შეუდგა ცნობილი ფირმა „ადიდასის" ნაწარმის გამოშვებას. საფირმო პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია, როგორც ჩვენს რეპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ხურათზე ფაბრიკის დირექტორს, ოლიმპიურ ჩემპიონ რომან რურუას (შუაში) თქვენ ხედავთ პარტნიორებთან საქმიანი საუბრისას; მარჯვენა ფოტოზე — „ადიდასის" ნაწარმის რეკლამა.

საკინფორმის ფოტოკორესპონდენტი

მსოფლიო სარგებელისკენ...

„კლასიკოსთა" საკავშირო ახალგაზრდული პირველობა (1971-1972 წლებში დაბადებულნი), ცხადია, საკმაოდ პრესტიჟული შეჯიბრებაა. ამიტომაცაა, რომ ამ ტურნირზე შეირჩევიან მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის კანდიდატები.

წლევანდელ ასპარეზობაში, რომელსაც კრასნოდარი მასპინძლობდა, სხვებთან ერთად ძალებს ცდიდნენ საქართველოს მოჭიდავეები, რომლებმაც სამივე სინჯის ექვსი მედალი დაიმსახურეს: ორი „ოქრო", ორი „ვერცხლი" და ორიც „ბრინჯაო".

პირველი ადგილები დაიკავეს: გოგიტა ჭინჭველაშვილმა (74 კგ, „შევარდენი"), და გიორგი სალდაძემ (100 კგ, „დინამო"), ორივე მოჭიდავე ქუთაისელია. მეორე ადგილზე გავიდნენ დიმიტრი მულაძე (62 კგ, „შევარდენი", ბორჯომი), და თბილისელი გოჩა ციციაშვილი (82 კგ, „შევარდენი"), მესამენი იყვნენ თბილისელები მოსე ჭაკნელიძე (57 კგ, „მართვე") და სოსო გოგია (100 კგ, „შევარდენი").

„რკინის კაპიტანი“ ბერგომი

აქელიო ვიჩინი იტალიის ნაკრებს 1986 წლის 8 ოქტომბრიდან ჩაუდგა სათავეში. მან თითქმის მთლიანად გადაახალისა გუნდის შემადგენლობა, სულ ორიოდე ვეტერანიღა დატოვა. ერთი მათგანი — ჯუზეპე ბერგომი, ექსპერტების აზრით, აბსოლუტურად შეუცვლელია. მას გარკვეული დამსახურება მიუძღვის იმაში, რომ ვიჩინიმ ორი დასახული მიზნიდან ორივე შეასრულა: გუნდმა ევროპის 1988 წლის პირველობაზეც კარგად ითამაშა და მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატშიც.

როცა 1982 წელს ენცო ბეარზოტი ესპანეთის მსოფლიო პირველობის წინ „ინტერის“ სრულიად ახალგაზრდა მცველი ბერგომი ნაკრებში მიიწვია, ბევრმა ექსპერტმა გაკვირვება არ დამალა. ეს ბეარზოტისგან მართლაც მოულოდნელი იყო. ყველამ იცოდა მწვრთნელის დიდი სიფრთხილის ამბავი — იგი ყოველთვის გამოცდილ მოთამაშეებს ანიჭებდა უპირატესობას. ამ შემთხვევაში მწვრთნელმა, შესაძლოა, გარისკა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით სავსებით გაუმართლა. როცა ბრაზილიელებთან მატჩში კოლოვატი დაშავდა, მინდორზე ჭაბუკი ბერგომი გამოვიდა და ღირსეულად გაუმკლავდა ნაქებ თავდამსხმელ სერჟინიოს. ამით ბერგომმ, როგორც გამოირკვა, ბეარზოტის გული ერთხელ და სამუდამოდ მოიხიბლა. მეტად მნიშვნელოვან მატჩში კოლონელებთან ვერ ითამაშებდა მრავალნაკადი ჯნტილი — ორი გაფრთხილება ჰქონდა. მის მაგივრად მინდორზე კვლავ ბერგომი გამოვიდა. ფინალურ მატჩში გფრ-ის ნაკრებთან კი უკვე ანტონიონის არ შეეძლო გამოსვლა. ისიც ბერგომმ შეცვალა. ერთი სიტყვით, ფეხბურთის სამყაროსთვის თითქმის სრულიად უცნობი მოთამაშე ესპანეთიდან მსოფლიო ჩემპიონის წოდებით დაბრუნდა. იგი სხვადასხვა სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს. აქედან მოყოლებული დღემდე ბერგოძი ჟურნალისტების ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი გახდა და ჯერ კიდევ ცხოვრების მრავალი დეტალიც გაარკვიეს. გთავაზობთ ერთ-ერთ ინტერვიუს მასთან.

● როგორ მოხვდით „ინტერში“?

— 10 წლისა ვიყავი, როცა მილანის გარეუბნის მოზარდთა ერთ-ერთი გუნდის თამაშს „ინტერის“ „სკაუტი“ (მოხეტიალე მწვრთნელი) დაესწრო და ყურადღება მომაქცია. იმ დროიდან მოყოლებული, სისტემატურად დავდიოდი „ინტერის“ საფეხბურთო სკოლაში, ვთამაშობდი ბავშვთა გუნდში. „სან-სიროს“ სტადიონზე უბილეთოდ მიშვებდნენ, თუმცა, გამოგიტყდებით, თავდანვე „ინტერის“ გულშემატკივარი კი არა, „მილანისა“ ვიყავი. ამ კლუბებს შორის კი ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა და მძაფრი კონკურენცია იყო.

● მან შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონი გახდით ხომ არ შეიცვალა თქვენი მდგომარეობა „ინტერში“?

— შეიცვალა. „ინტერში“ ფეხბურთელთა საბჭო არსებობს, რომელიც მწვრთნელებს ყოველნაირად ეხმარება. მისმა წევრებმა მატჩის წინ თავისი მოსაზრებაც უნდა გამოთქვან — ვინ უნდა ითამაშოს, ვინ არა. ამ სათათბიროში გამოცდილი ოსტატები შედიოდნენ: კაპიტანი ალტობელი, ბარეზი, მარინი, რუმენიგე და ბრეიდი. შემდეგ მეც მიმიწვიეს.

● „ინტერში“ ადრე, როგორც წესი, მარჯვენა მცველად თამაშობდით, შემდეგ გუნდში „ლიბერო“ გახდით და ნაკრებშიც იგივე ფუნქციები დაგეკისრათ. რომელ ადგილზე გირჩევნიათ თამაში?

— ლიბეროს ამპლუა „ინტერის“ ადრინდელმა მწვრთნელმა ლუიჯი რადიჩემ შემირჩია. მარჯვენა მცველად რომ ვთამაშობ, თავს თავისუფლად ვგრძნობ, ზოგჯერ შეტევაშიც ვერთვები და გოლები გამაქვს.

● რას იტყვით იტალიაში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელებზე?

— რა თქმა უნდა, ისინი თითქმის ყველანი გამოჩენილი ოსტატები არიან. ადრე ჩვენ შევეგუეთ იმას, რომ გუნდებში ორ-ორი უცხოელი თამაშობდა. შემდეგ ახალი გადაწყვეტილება მიიღეს და გუნდებს სამ-სამი საზღვარგარეთელის მოწვევის ნება მისცეს. არა მგონია, ამან იტალიისათვის სასიკეთო შედეგები გამოიღოს. ახალგაზრდა იტალიელ ფეხბურთელებს ხომ გზა ეხშობათ.

ახლა ბერგომი იტალიის ნაკრების კაპიტანია. გუნდისთვის ისეთივე შეუცვლელია, როგორც ამ 6-7 წლის წინათ.

გივი თორელი

ეპიზოდი განვლილი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩიდან: ჩეხი სკუბრაკანი და იტალიელი ბერგომის (მარჯვნივ) ორთაბრძოლა.

ყველაზე ახალგაზრდა დედოფალი

11 მარტს შტეფი გრაფს ჩამოართმევენ გვირგვინს

მსფოლიო კლასიფიკაციას ჩოგბურთში 1975 წლიდან ატარებენ. ამ ხნის განმავლობაში უძლიერესთა სიას მხოლოდ ხუთი ლიდერი ჰყავდა. დიდხანს მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის სახელს ამერიკელები: კრის ევერტი და მარტინა ნავრატილოვა ფლობდნენ. ორჯერ მათ დავაში ჩაერია კიდევ ერთი ამერიკელი ჩოგბურთელი ტრეისი ოსტინი. 1987 წლის 17 აგვისტოს კი დაიწყო გერმანელი შტეფი გრაფის „ერა“, რომელიც დღემდე გრძელდება, თუმცა...

დღეს უკვე, გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ გრაფი, რომელიც სამნახევარი წლის მანძილზე იყო მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი, გადადგა ამ „პოსტიდან“ და დაუთმო იგი 17 წლის იუგოსლავიელ მონიკა სელეშს.

კომპიუტერულ „ბუხჰალტერიას“ აქვს თავისი კანონები. სელეშისა და გრაფის დაუსწრებელი (ზოგ შემთხვევაში დასწრებულიც) დუელის „ათვლა“ დაიწყო 1990 წლის 11 მარტიდან: წლეულს, 11 მარტს ზუსტად ერთი წლის შემდეგ, შეჯამდება სეზონის შედეგები და გაირკვევა ამ ხნის განმავლობაში ვინ რის მაქნისი იყო. მაგრამ დიდი მარჩიელობა აქ არც არის საჭირო. სელეშმა ყველა მონაცემით გაუსწრო გრაფს და ახლა იუგოსლავიელი ჩოგბურთელის უპირატესობის ოფიციალური აღიარება უნდა მოხდეს.

მონიკა სელეში

17 წლის სელეშმა ბოლო სეზონში მართლაც ფანტასტიკური წარმატებებს მიაღწია, რომელიც დაგვირგვინა წლეულს ავსტრალიის ღია ჩემპიონატში გამარჯვებით. გრაფისთვის ყველაზე ბედნიერი სეზონი 1988 წელი იყო, როცა მან „დიდი მუზარადის“ ოთხივე ტურნირი (ავსტრალიის, საფრანგეთის, აშშ-ს ღია ჩემპიონატი და უიმბლდონი) მოიგო. თანაც ამ წარმატებებს დაუმატა სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი. ყველას ეგონა, რომ გრაფს დიდი ხნის მანძილზე ვერავინ გაეკარებოდა ახლოს, ერთხანს იგი მართლაც „განუკითხავად ბატონობდა“ მსოფლიოს კორტებზე, მერე კი სარბიელზე გამოჩნდა სელეში... სხვათა შორის, განსაკუთრებით წარუმატებელი გამოდგა გრაფისათვის წლევანდელი სეზონი— ორ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ორივეს მეოთხედფინალებში გამოეთიშა.

მაგრამ დიდი სპორტსმენი იმიტომაც არის დიდი, რომ მოვლენებს რეალურად აფასებს:

— რას იზამ, — განუცხადა გრაფმა ჟურნალისტებს, — იყო დრო, როცა ჩემი დამარცხება პრობლემა გახლდათ. დრო იცვლება. რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი ვარ, რომ ვკარგავ პირველი ჩოგნის სახელს, მაგრამ ამას არ ვთვლი ტრაგედიად. ჩემი მთავარი ამოცანაა კარგად ვითამაშო. თანაც გამოჩნდა ახალი სტიმული — დავიბრუნო პირველი პოზიცია. დარწმუნებული ვარ, ამას შევძლებ.

სელეში კი... სასიამოვნო ამბების მოლოდინშია. 11 მარტს იგი გახდება მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დედოფალი.

დღეისათვის კი მსოფლიოს უძლიერეს ქალთა ათეული ასე გამოიყურება: 1. შტეფი გრაფი (გერმანია), 2. მონიკა სელეში (იუგოსლავია), 3. მარტინა ნავრატილოვა (აშშ), 4. გაბრიელა საბატინი (არგენტინა), 5. მერი ჯო-ფერნანდესი (აშშ), 6. არანტა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი), 7. იანა ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია), 8. კატერინა მალეევა (ბულგარეთი), 9. ზინა ჰარისონი (აშშ), 10. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი).



შტეფი გრაფის გატაცება მხოლოდ ჩოგბურთი როდია.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

(დასასრული)

ველ წარმატებას მაინც „ბაიერნმა“ მიაღწია. ანგარიში 30-ე წუთზე თომას ბინდერმა გახსნა. გერმანელებს დიდი სურვილი ჰქონდათ აეღოთ რევანში 1987 წლის ფინალურ მატჩში განცდილი მარცხისთვის (მაშინ „პორტომ“ გაიმარჯვა 2:1), მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. მეორე ტაიმში პორტუგალიის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელმა დომინგოშმა მეტოქის კარში საპასუხო გოლი გაიტანა.

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ნახევარფინალისკენ. მან ანგარიშით 3:0 დაამარცხა დრეზდენის „დინამო“. გოლები გაიტანეს: რობერტ პროსინეჩკამ, დეჟან სავიჩევიჩმა და დრაგისა ბანიჩმა.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „რეალი“ (მადრიდი) 0:0, „მილანი“ (იტალია) — „მარსელი“ (საფრანგეთი) 1:1, „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) — „დინამო“ (დრეზდენი) 3:0, „ბავარია“ (მიუნხენი) — „პორტო“ (პორტუგალია) 1:1.

თასების მფლობელთ თასი

თქმა არ უნდა, მოულოდნელი იყო ვარშავის „ლეგიას“ გამარჯვება საპატიო ჯილდოს ახლანდელ მფლობელთან იტალიის „სამპდორიასთან“ — 1:0. გოლი პირველი ტაიმის მიწურულში ნახევარმცველმა დარიუშ ციკიერმა გაიტანა. და მაინც, საპასუხო მატჩში იტალიელთა რევანში ეჭვს არ იწვევს.

მეორე იტალიურმა კლუბმა, ტურინის „იუვენტუსმა“ პრაქტიკულად გაინაღდა მომდევნო წრეში თამაში, ვინაიდან სტუმრად დაამარცხა ბელგიის კლუბი „ლიეჟი“ 3:1. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს: პიერლუიჯი კაზირაგიმ, ჟულიო სეზარმა და რობერტო ბაჯომ.

ბრწყინვალედ ასპარეზობს საფრანგეთის „მონპელიე“. მან ამჯერად მანჩესტერში ფრედ დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ „იუნაიტედთან“. ორივე გოლი თამაშის პირველ შვიდ წუთში გავიდა, მაგრამ ჯერ დაწინაურდნენ სტუმრები: ბურთი საკუთარ კარში მანჩესტერელმა ლ. მარტინმა ჩაჭრა. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ინგლისელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ.

„დინამო“ (კიევი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 2:3, „ლეგია“ (ვარშავა) — „სამპდორია“ (გენუა) 1:0, „მანჩესტერ“ (იუნაიტედი) — „მონპელიე“ (საფრანგეთი) 1:1, „ლიეჟი“ (ბელგია) — „იუვენტუსი“ (ტურინი) 1:3.

უეფა-ს თასი

„ატლანტისა“ და „ინტერის“ შეხვედრაში, როგორც ჩანს, ყველაფერს საპასუხო მატჩი გაარკვევს. ფრედ დამთავრდა „ბოლონია“ — „სპორტინგის“ ორთაბრძოლაც. იტალიის ჩემპიონატის აუტსაიდერმა შინ ვერ მოიპოვა გამარჯვება.

„რომამ“ საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით მოუგო „ანდერლეჰტს“. იტალიელებმა ორი გოლი ჯარიმის გათამაშების შემდეგ გაიტანეს, ხოლო ერთი — სწრაფი კონტრშეტევის დროს. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა ანტონიო კონიმ, ხოლო მეორეში რუდი ფიოლერმა და რუჯერიო რიციტელიმ ანგარიში სამამდე გაზარდეს.

„ბრონდბიუ“ (დანია) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:0, „ბოლონია“ (იტალია) — „სპორტინგი“ (ლისაბონი) 1:1, „ატალანტა“ (ბერგამო) — „ინტერი“ (მილანი) 0:0, „რომა“ (იტალია) — „ანდერლეჰტი“ (ბრიუსელი) 3:0.

განმეორებითი მეოთხედფინალები ორი კვირის შემდეგ, 20 მარტს, გაიმართება.

მიმოხილვა მომზადებულია „ინტერნეიშნლ სპორტს ნიუსის“ მიხედვით. მასალები მივიღეთ ხაჭართველოს ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტთან თანამშრომლობით.

ნიგერია ცდილობს

ციურიხი. გახდება თუ არა აფრიკის ქვეყანა ნიგერია 1998 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობას კანდიდატი ქვეყანა? ამ საკითხს საგანგებოდ განიხილავენ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე, ვინაიდან განაცხადი ნიგერიიდან ფიფა-ს მისამართით მოვიდა მოგვიანებით, დათქმულ დღეზე 4 დღით გვიან.

ამ რამდენიმე ხნის წინ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უკვე დაამტკიცა კანდიდატები: ინგლისი, ბრაზილია, ინდოეთი, მაროკო, პორტუგალია, საფრანგეთი, ჩილე, შვეიცარია. ამ ქვეყნებმა 31 მარტამდე უნდა დაადასტურონ ან მოხსნან თავიანთი კანდიდატურები.

დეფიციტი — 5 მილიონი დოლარი

ჰამბურგის ცნობილმა კლუბმა „სანკტ პაულიმ“ შეიძლება არსებობა შეწყვიტოს. ამის მიზეზად მიაჩნიათ ის 5 მილიონი დოლარი ვალი, კლუბს რომ დაედო. „სანკტ პაულის“ პრეზიდენტი ჰაინც ვაიზნერი ეძებს სპონსორებს, მაგრამ მონახავს კი?

წელიწადში — ერთი მილიონი დოლარი

ახალი ხელშეკრულებით, რომელიც სკოლაჩიმ ტურინის „იუვენტუსთან“ გააფორმა, იგი ყოველწლიურად ერთ მილიონ დოლარს მიიღებს.

ტურნირები და შედეგები

● **ჩოგბურთი.** **გუშინწინდელი დღე ხაბეროთა ჩოგბურთელებისადვის რომლებიც სამ დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოდიან, საოცრად უიღბლო იყო. ბოკა-რეიტონში (აშშ) მიმდინარე „ვირჯინია სლიმზის“ ხელრის ტურნირის მეორე წრეში ახპარეზობა შეწყვიტეს ლარისა სავჩენკომ და ნატალია მედვედიევამ. პირველი ჩეხ რეგინე რაიხრტოვასთან დამარცხდა (4:6, 5:7), მეორე — ამერიკელ მარიანა ვერდლეტთან (4:6, 6:4, 5:7). კოპენჰაგენში ატპ-ს ტურნირის მეორე წრეში ანდრეი ჩეხოკოვს ავსტრალიელმა მარკ ვუდფორდმა აჯობა — 6:2, 2:6, 7:6. ინდიან-უელსის (აშშ) შეჯიბრების მეორე ტურში დამარცხდა ალექსანდრე ვოლკოვიც (ამერიკელ რიჩი რენებერგთან — 7:6, 2:6, 4:6).**

● **ფიგურული ციგურაობა.** 12 მარტს მიუნხენში იწყება მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ტურნირის ორგანიზატორები იტყობინებიან, ასპარეზობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, პოლონელი გეგეგოშ ფილიპოვსკი, რომელმაც ერთ-ერთ ვარჯიშზე მძიმე ტრავმა მიიღო. არადა, იმისთვის რომ კარგად გამოსულიყო მსოფლიო ჩემპიონატზე, ფილიპოვსკიმ უარი თქვა ამას წინათ გამართულ ევროპის პირველობაში ასპარეზობაზე.

● **თხილამურებით ხტომა.** **მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი ტრამპლინიდან ხტომაში, რომელიც შვეიცის ქალაქ ბოლნესში გაიმართა, შვეიცარიელმა სტეფან ცუნდმა მოიგო (ორი ნახტომი 90 მეტრზე და ქულათა ჯამი — 224,5). ამის მიუხედავად, საერთო ლიდერობას ავსტრიელი ანდრეას ფელდე ინარჩუნებს, რომელსაც 244 ქულა აქვს. უახლოესი კონკურენტი — გერმანელი თომას დიტერი ლიდერს თითქმის 100 ქულით (145 ქულა) ჩამორჩება.**

● **მსოფლიო უნივერსიადა.** საპოროში (იაპონია) უკვე მეხუთე დღეა მიმდინარეობს სტუდენტთა ზამთრის თამაშები. საერთო გუნდურ ჩათვლაში დაწინაურებულია იაპონიის დელეგაცია, რომელსაც აქვს 10 ოქროს, 8 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი. საბჭოთა სპორტსმენები უნივერსიადის მასპინძლებს საგრძნობლად ჩამორჩებიან: 5 ოქრო, 6 ვერცხლი და 4 ბრინჯაო.

პრეზიდენტი შვარცენეგერს 80 წელი რომ შეუსრულდება, ხელს მოჰკიდებს პოლიტიკას

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ფრანგულ ჟურნალ „პარი-მატჩში“ გამოქვეყნდა. შვარცენეგერს ესაუბრება ჟურნალისტი მ. დრიუკერი.

● **ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ბოლო ორი წლის განმავლობაში პრესამ დაივიწყა შვარცენეგერი, როგორც კულტურისტი. ახლა თქვენზე მხოლოდ როგორც პროფესიონალ მსახიობზე წერენ. გხიამოვნებთ ეს?**

— ვამაყობ ეკრანზე წარმატებებით, მაგრამ მეამაყება ჩემი წარსულიც — ის დრო, როდესაც კულტურიზმით ვიყავი გატაცებული. სწორედ სპორტის წყალობით ვისწავლე ბრძოლა და დასახული მიზნის მიღწევა, ავრეთვე დისციპლინა და მეგობრობა. ყველაფერი ეს დიდად დამეხმარება ცხოვრებაში. მაგრამ მინდა რომ სოციალურად შეგნებულ კაცად მიცნობდნენ, რომელიც მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს გაჭირვებულს, რომელსაც აინტერესებს მსახიობის პროფესია.

● **კულტურიზმი კვლავ რჩება თქვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, ალბათ, ჯერჯერობით მასზე უარს არ იტყვით.**

— დღესაც ვვარჯიშობ — ჰანტელები, ველოსიპედი, რბენა — ყველაფერი ეს გულსა რგებს. ვარ ამერიკის სპორტის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი. აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა დამავალა ამერიკელთა სპორტში ჩაბმა, რაც ბავშვებიდან უნდა დაიწყოს.

● **ამას წინათ თავად გახდით მამა...**

— მეუბნებოდნენ: „აი ნახავ, გაგიჩნდება შვილი და დარწმუნდები, თუ რა დიდი პასუხისმგებლობაა ეს“. ახლა მივხვდი, რომ მართლაც ასე ყოფილა, ბავშვი რომ პირველად ვნახე...

● **რა ხნისაა ახლა გოგონა?**

— იგი დაიბადა 1989 წლის დეკემბერში. ეს დაუვიწყარი წუთები იყო. ბავშვის დაბადება ცოლქმარს ერთმანეთთან აახლოებს.

● **თქვენი კეტრინი სპორტსმენი გამოვა?**

— ვაიძულებთ ბავშვს, რომ სპორტში იმეცადინოს, რადგან დედამისს და მე გვწამს სპორტისა. მეუღლე — მარია — დიდი მოთხილამურეა, თამაშობს ჩოგბურთს, გატაცებულია აერობიკითა და ჰანტელებით ვარჯიშით.

● **წარმოშობით ავსტრიელი ბრძანდებით. მამათქვენი პოლიციელი იყო და მკაცრად გზრდიდათ. იგი გარდაიცვალა თექვსმეტი წლის წინათ და არ მოსწრებია შვილის ფანტასტიკურ წარმატებებს. მამას ხშირად ახსენებთ?**

— მან ნახა ჩემი გამარჯვება „ოლიმპში“ ასპარეზობაზე და წავიდა ამ ქვეყნიდან. რა თქმა უნდა, გული მწყდება, რომ ვერ გაიხარა შვილის წარმატებებით. სამაგიეროდ, ჩემს გამოსვლებს დედა ადევნებს გულდასმით თვალ-ყურს. იგი წელიწადში ორჯერ ჩამოდის ამერიკაში, მაგრამ ძალიან მსურს, რომ მამაც ყოფილიყო მასთან ერთად, რადგან სწორედ მან გამომწვრთო, მომაჩვია დისციპლინასა და ნებისყოფას, მაზიარა მორალურ სიწმინდეს. იგი ჩემთან ერთად დარბოდა და მეუბნებოდა: „კიდევ ერთი კილომეტრი... უფრო სწრაფად!“ დიდად დავალებული ვარ მისგან.

● **ორიოდე სიტყვით როგორ დაახასიათებდით ხაკუთარ თავს?**

— მხიარული, ნებისყოფიანი და პატიოსანი...

● **ფილმში „ხრული სიმშვიდე“, რომელშიც მონაწილეობთ, მოქმედება ხდება მარსზე 2084 წელს. თქვენ თვითონ რას გაიკეთებთ 2084 წელს?**

— ძნელი სათქმელია. ჩემი ცხოვრების ერთი მესამედი ძალიან კარგი იყო, სრული წარმატებები მქონდა. მომდევნო მესამედს მოვანდომებ კინოში თამაშს, ცხოვრების ბოლო მესამედი — ოთხმოციდან ასოც წლამდე — პოლიტიკურ მოღვაწეობას დაეთმობა.

პუბლიკაცია მოამზადა
კოტე ენგოიანმა.

• • •

სურათზე: ა. შვარცენეგერი და ჟურნალისტი მიშელ დრიუკერი.

... ...

ტაისონს!

მსოფლიო ექსჩემპიონი კრივში მაკ ტაისონი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ მის წინააღმდეგ უკვე მერვე სასამართლო პროცესი აღძრა. ახლა მას ერთბაშად ორი „ნოკაუტი“ ემუქრება — 23 წლის სანდრა მილერისა და 31 წლის ლორი დეივისისაგან. განთქმულ მოკრივეს ერთ შემთხვევაში ფიზიკურ შეურაცხყოფას აბრალებენ, მეორე შემთხვევაში კი — გაუპატიურების მცდელობას. მილერმა განაცხადა, რომ მანრატანზე (ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი) დისკოთეკის დერეფანში ტაისონი დაეტაკა და უხეშად შეეძალებოდა. ამის საკომპენსაციოდ ქალმა მოითხოვა 4 მილიონი დოლარი. ექვსმა მსაჯულმა, მათ შორის ხუთმა ქალმა კი ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა: მილერი კომპენსაციის სახით მიიღებს... 100 დოლარს.

ამის შემდეგ სასამართლომ იმსჯელა ლორი დეივისის საჩივარზე, რომელიც ტაისონს ორი წლის წინ იმავე მანრატანის დისკოთეკაში გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებდა და არც მეტი, არც ნაკლები, 8 მილიონ დოლარს მოითხოვდა. ამჯერად ტაისონს ვერაფერი დაუმტკიცეს.

ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ

ალბერვილის მერმა დიუკოლმა და „კოკა კოლას“ პრეზიდენტმა ჰოფმანმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს თანამშრომლობის შესახებ. 1991 წლის მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქისა და სავოიის ოლქის კეთილმოწყობას ტურისტული თვალსაზრისით. ალბერვილში 1991 წლის მანძილზე რამდენიმე სპორტული შეჯიბრება მოეწყობა.

შმიდი — ჩეხოსლოვაკიელთა მწვრთნელი

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელად ჩოგბურთში დანიშნულია წარსულში ცნობილი ოსტატი ტომაშ შმიდი. იგი 34 წლისაა, წლების განმავლობაში მონაწილეობდა უამრავ საერთაშორისო ტურნირში.

ქალაქიდოსკოპი

რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

14 მარტს გაიმართება საქართველოს ინვალიდთა ფიზიკულტურულ-სპორტული ფედერაციის რიგგარეშე კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება მსოფლიო ორგანიზაციის „სპეშიალ-ოლიმპიკსის“ რესპუბლიკური კომიტეტის დაფუძნებას.

დასაწყისი 15 საათზე.

მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 11.

საქართველოს ინვალიდთა ფიზიკულტურულ-სპორტული ფედერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა